



MES 1 21 0001369761



15/12/2021

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 2 დეკემბერს**.

სხდომის დაწყებამდე საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და დაწესებულებებს გაეგზავნა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/83253839530?pwd=OWV3WXBYb1ZmNDRZRkU0NINrVUFPUT09>

Meeting ID: 832 5383 9530

Passcode: 112076

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

**მარიამ ქუჩულორია** - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე ;

**გიორგი გამყრელიძე**- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი;

**ნათია კვიციანი**- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი;

**ნიკოლოზ მესხიშვილი**- პროფესიული განათლების ექსპერტი;

**თორნიკე თოხაძე**- ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი;

**გიორგი ვეკუა**- სკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი;

**თორნიკე ჯობავა** - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს "ციფრული უნარების განვითარების" პროგრამის კოორდინატორი;

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**ნანი დალაქიშვილი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ქეთევან ციხისელი** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

**ლანა გაჩეჩილაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

**მაყვალა დარსანია** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**მაია აბდალაძე** - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

**ლამარა მიქაბერიძე** - პროფესიული ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის სამსახურის სტაჟიორი.

**დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტი სსახელმწიფო კოლეჯი:**

თეიმურაზ ლორთქიფანიძე - კოლეჯის დირექტორი,

ნინო ძაგანია - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი,

ნინო გულბანი - სასწავლო პროცესის მენეჯერი,

გიორგი ჩახვაშვილი - პროფესიული განათლების მასწავლებელი,

გივი გოგოძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი.

ნინო ბერიანიძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი,

ჯემალ კვანტალიანი - პროფესიული განათლების მასწავლებელი,

მერი პატარაია - პროფესიული განათლების მასწავლებელი,

იზა რევია - პროფესიული განათლების მასწავლებელი,

გურამ ჯანელიძე - პროფესიული განათლების მასწავლებელი,

მარიამ თუშიშვილი - ბიბლიოთეკარი,

ზაზა პატარიძე - სარეაბილიტაციო ცენტრი NAIO - ს დირექტორი (პარტნიორი)

**პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:**

ვალერი გულბანი;

ბონდო მამულაშვილი;

მანანა მნათობიშვილი;

ელისო მურვანიძე.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 13:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ, ასევე, შეახსენა საბჭოს წევრებს,

რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

ვინაიდან საბჭოს მდივანი, მარიკა ზაქარეიშვილი სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს სხდომის მდივნობა დააკისრა გიორგი გამყრელიძეს, რომელმაც თანხმობა განაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი**:

1. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ფიტნესის ინსტრუქტორი“ /01202/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „კრივის ინსტრუქტორი“ /01200/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „სპორტული აკრობატიკის ინსტრუქტორი“ /01199/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „სპორტული მასაჟისტი“ /01204/ (ქ. თბილისი) პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა
5. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „სპორტული მასაჟისტი“ /01205/ (ქ. ქუთაისი) პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

**1. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „ფიტნესის ინსტრუქტორი“ /01202/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, რა მოსაზრება ჰქონდათ დასკვნაში დაფიქსირებულ ხარვეზებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების დირექტორი, თეიმურაზ ლორთქიფანიძე, მიესალმა საბჭოს წევრებს და საკითხის განხილვა დაიწყო. მან განაცხადა, რომ დაწესებულება გაეცნო ყველა წარმოების ფარგლებში მომზადებულ დასკვნას და შესაბამისად არსებობდა რიგი საკითხები, რომლებშიც

ეთანხმებოდნენ ექსპერტების მოსაზრებას და არსებობდა საკითხები რომელთაც არ ეთანხმებოდნენ. ამასთან, კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ჰქონდათ რიგი შეხედულებები ყველა პროგრამის მიმართ, რასაც საბჭოს პროგრამების საკითხის განხილვისას გააცნობდა.

კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა, ნინო ძაგანიამ აღნიშნა, რომ კოლეჯს 10 პროგრამაზე ჰქონდა შეტანილი განცხადება, რომლებზეც ყურადღებით დიდხანს მუშაობდნენ, ხოლო ფიტნეს ინსტრუქტორთან მიმართებით, მათთვის მოულოდნელი აღმოჩნდა ექსპერტის მიერ გამოვლენილი ხარვეზები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას მიმართა და განუმარტა, რომ ექსპერტის მიერ პრეზენტაციის განხილვისას, დაწესებულების წარმომადგენლებს შეეძლოთ გაეკეთებინათ კომენტარი თუ რაში არ ეთანხმებოდნენ და რაში ეთანხმებოდნენ ექსპერტს. თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულების მოსაზრების მოსმენა აუცილებელი იყო საბჭოს წევრებისთვის, რათა ზეპირი მოსმენის საფუძველზე სწორი გადაწყვეტილება მიეღო საბჭოს.

საკითხი საბჭოზე წარადგინა ვალერი გულბანმა, რომელმაც მთავარ ასპექტებზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ დასკვნაში დაფიქსირდა 5 ქვესტანდარტის ხარვეზი, 3 ქვესტანდარტი შეფასებას არ ექვემდებარებოდა გამოცდილების არარსებობის გამო.

ექსპერტმა, დაიწყო ქვესტანდარტების განხილვა და პირველ რიგში განიხილა 1.1 ქვესტანდარტი, ამასთან აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარადგინა დოკუმენტი "ფიტნეს ინსტრუქტორის" პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების საჭიროების დასაბუთების შესახებ, რომელშიც მოცემული ინფორმაცია, სხვადასხვა კვლევებზე და მის შედეგებზე იყო დაყრდნობილი, რომელიც იყო ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ სფეროში არსებული საკითხების ირგვლივ. შესაბამისად, ექსპერტის განმარტებით, ვინაიდან ფიტნესი არ არის სპორტის სახეობა, შედარებით ახალი სფეროა საქართველოში, ამ ნაწილში გარკვეულ გაუგებრობასაც ქონდა ადგილი, რადგან ფიტნესისა და სპორტის განსხვავება ნათლად არ იყო წარმოდგენილი დოკუმენტში. გამომდინარე აქედან, ის კვლევა რაც დაწესებულებას ჰქონდა წარდგენილი, ვერ გამოდგებოდა ფიტნესის ინსტრუქტორის პროგრამის საჭიროების დასაბუთებისთვის.

1.3 ქვესტანდარტთან მიმართებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მეორე, მესამე და მეოთხე სწავლის შედეგების დასახელება კონკრეტულად მიესადაგებოდა პირადი ფიტნეს ინსტრუქტორისთვის საჭირო კომპეტენციებს. ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ წარდგენილი პროგრამით მომზადებული პირი იქნებოდა ფიტნესის მწვრთნელის დამხმარე და იმ საკითხებში იქნებოდა გარკვეული, რაც სწავლის შედეგებით იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, გარკვეულ სიღრმემდე იქნებოდა მოცემული საკითხი გაცნობიერებული, არა მწვრთნელის, არამედ მისი დამხმარის დონეზე. ამასთან ექსპერტმა განმარტა, რომ დამხმარისა და მწვრთნელის კომპეტენციები განსხვავებული იყო. შესაბამისად საჭირო დრო, მასალები და კვალიფიკაცია, ინსტრუქტორისა და დამხმარისა ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდებოდა. გამომდინარე აქედან, ექსპერტის თქმით, დასაქმების თვალსაზრისითაც, ინსტრუქტორად დასაქმებული პირი იქნებოდა მწვრთნელის დამხმარე, შესაბამისად მას ვერ იქნებოდა მწვრთნელად დასაქმების პრეტენზია. აღნიშნული ზეპირსიტყვიერი განმარტება და სწავლის შედეგები, ექსპერტის თქმით, გარკვეულწილად ეწინააღმდეგებოდა პროგრამის მიზანს.

1.6 ქვესტანდარტი - მეორე, მესამე და მეოთხე სწავლის შედეგების დასახელება კონცენტრირებულად მიესადაგება პირადი ფიტნეს ინსტრუქტორისთვის საჭირო კომპეტენციებს. ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ წარმოდგენილი მომზადების პროგრამით მომზადებული პირი იქნება ფიტნესის მწვრთნელის დამხმარე და იმ საკითხებში იქნება გარკვეული, რაც სწავლის შედეგებითაა წარმოდგენილი, თუმცა გარკვეულ სიღრმემდე იქნება საკითხი გაცნობიერებული, არა მწვრთნელისთვის გათვალისწინებულ დონეზე. ასევე, დასაქმების თვალსაზრისით. ინსტრუქტორად

დასაქმებული პირი იქნება მწვრთნელის დამხმარე პირი და მას ვერ ექნება მწვრთნელად დასაქმების პრეტენზია. აღნიშნული ზეპირსიტყვიერი განმარტება და სწავლის შედეგების ფორმულირება ეწინააღმდეგება ერთმანეთს. პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით და კომპეტენციით, თუმცა მსმენელს ვერ აძლევს საქმიანობის სფეროს შესაბამის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ უნარებს.

1.7 ქვესტანდარტი - პროფესიული მომზადების პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 8 (რვა) კვირას, კვირეული სასწავლო დატვირთვაა 20-25 სთ, სულ - 185 სთ. პროგრამის ხანგრძლივობა, მოცულობა და მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების არასაკმარისია მომზადების პროგრამისთვის. შესავალის სახით არ არის საუბარი რა არის ფიტნესი, ზოგადად მისი მიზნები და ამოცანები, სამეცნიერო საფუძვლები. საერთოდ არ არის საათები დათმობილი ანატომიის საფუძვლებისთვის და ფიზიკური ვარჯიშების ბიოქიმიისათვის. ბიოქიმიაზე საუბარი არის სწორი კვებისა და საკვები დანამატების ნაწილში მხოლოდ.

2.2 ქვესტანდარტი - მსმენელებისთვის არ არის საკმარისი თანამედროვე სტანდარტების ფართი შესაბამისი აღჭურვილობით და საკმარისი მოწყობილობით. ძირითადად წარმოდგენილია სამოყვარულო ფიტნეს მოწყობილობები, ისიც ძალიან შეზღუდული რაოდენობით. საჭიროა დამატებით მინუმუმ შემდეგი სახის ინვენტარი: პრესის რეგულირებადი სკამი; პრესის კუნთებისთვის ტურნიკი-ორძელი; ფეხების-პრესი; წვივის გამშლელი ტრენაჟორი; ჰიპერექსტენციის ტრენაჟორი; პრესის (სწორი კუნთის) ტრენაჟორი; ზედა მკერდის ტრენაჟორი; პრესის (ირიბი კუნთის) ტრენაჟორი; ტრენაჟორი იზომეტრიული მოძრაობებისთვის (რომაული სკამი); მულტიფუნქციური კროსოვერი; ჰანტელების კომპლექტი (10კგ, 20კგ +; 45კგ, 50კგ და ა.შ) და სავარჯიშო დაფა ფეხებისთვის.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები, კერძოდ 1.1 ქვესტანდარტთან მიმართებით, რეკომენდირებულია, რომ ორგანიზაციამ პროგრამის საჭიროების უკეთესად დასაბუთების მიზნით გამოიკვლიოს კონკრეტული სამიზნე ჯგუფი-დამსაქმებლები, მათი საჭიროებები თუ რა კომპეტენციების მქონე კადრების დეფიციტია შრომის ბაზარზე და კონკრეტული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადდეს პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამები და არა ერთიან ჭრილში, ზოგადად სპორტული ინსტრუქტორისთვის.

1.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფიტნესის ინსტრუქტორი წარმოადგენს ამ დარგის ერთ-ერთ კატეგორიას (ფიტნესის ასისტენტი, ჯგუფის ინსტრუქტორი, პერსონალური მწვრთნელი და ა.შ.), მისი უფლებამოსილება არ არის საწვრთნელი პროცესის წარმართვა და არ აქვს/ გააჩნია პირად მწვრთნელად ან ჯგუფის ინსტრუქტორად მუშაობის კომპეტენცია. შესაბამისად პროგრამის აღწერილობაში დასაკორექტირებელია ფიტნესის ინსტრუქტორის საქმიანობის სფერო.

1.3 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგები და მიზანი შეესაბამებოდეს ერთმანეთს.

1.4 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე და დაშვების წინაპირობაში მიეთითოს სრული ზოგადი განათლება. ასევე, რეკომენდირებულია, სპორტული ტურის დებულება განახლდეს და მომზადდეს პროფესიული მომზადების და გადამზადების პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით.

1.7 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, მომზადების პროგრამისათვის რიგი საკითხების დამატება თემატიკის სახით და შედეგად საათობრივი დატვირთვის გაზრდა.

1.8 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, უფრო ხშირად იქნას გამოყენებული პრაქტიკული სავარჯიშოები სწავლებისას. ეს გააუმჯობესებს მსმენელთა პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. ასევე, სასურველია დაემატოს სწავლების მეთოდებს ქეისების განხილვა (case study) და კეთებით სწავლის მეთოდი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მეთოდის გამოყენება პრაქტიკის ობიექტზე.

1.9 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, ხელშეკრულებების/მემორანდუმების გაფორმება სხვადასხვა ტიპის პრაქტიკის ობიექტებთან (ფიტნეს კლუბებთან), რათა მსმენელმა შეძლოს სხვადასხვა სპეციფიკის ობიექტებზე, სხვადასხვა აღჭურვილობისა და სამუშაო სპეციფიკის გაცნობა.

2.2 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, მსმენელებითვის მოიძებნოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აღჭურვილობით ფიტნეს კლუბი/დარბაზი პრაქტიკული მეცადინეობების განხორციელებისთვის.

2.3 ქვესტანდარტი - ვინაიდან სასწავლო მასალა წარმოდგენილია ძირითადად ინტერნეტ სივრცეში, სასურველია, ყველა დოკუმენტის თითო ასლი ბეჭდური სახით განთავსდეს კოლეჯის ბიბლიოთეკაში.

3.4 ქვესტანდარტი - რეკომენდირებულია, გამოკითხვის ფორმებს დაემატოს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევის ფორმები. ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამის შესახებ მოკლე ინფორმაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა ნინო ძაგანამ, 1.1 ქვესტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ მათ წარმოადგინეს მრავალფეროვანი კვლევა, ამასთან თავადაც სხვადასხვა სახის სატრენაჟორო დარბაზების წარმომადგენლებთან ჰქონდათ ურთიერთობა. აღნიშნა, რომ ფიტნესი ფართო ცნებაა და სხვადასხვა ტიპის ფიზიკურ აქტივობას მოიცავს და არ არის შემოფარგლული მხოლოდ სპორტული და სატრენაჟორო დარბაზით, რადგან მასში შესაძლოა ცურვაც, სირბილიც და ა.შ იყოს გათვლილი. მათ წარმოდგენილი ჰქონდათ 2013-2017 წლებში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და მასობრივი სპორტის ფედერაციის მიერ ჩატარებული კვლევა, რაშიც გათვალისწინებული იყო ფიტნესი. ასევე წარმოადგინეს ეკონომიკის სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევა დასაქმების კუთხით. შესაბამისად წარმომადგენლის განმარტებით, საკმაოდ იყო გამოკვეთილი არსებული კვლევების საფუძელზე ფიტნეს ინსტრუქტორზე მზარდი მოთხოვნა.

ამასთან დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსებული მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე ისინი აპირებდნენ სხვა დიდ ქალაქებშიც მოცემული პროგრამის განხორციელებას, შესაბამისად დაწესებულება რა თქმა უნდა გაითვალისწინებდა ექსპერტების მიერ მათთვის მიცემულ ღირებულ რეკომენდაციებს, თუმცა 1.1 სტანდარტთან მიმართებით ისინი ვერ დაეთანხმებოდნენ ექსპერტს.

ექსპერტმა, 1.1 ქვესტანდარტთან მიმართებით მცირე კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ ეკონომიკის სამინისტროს მიერ ჩატარებულ კვლევაზე წარდგენილი დოკუმენტი საერთოდ არ იყო ფიტნეს ინსტრუქტორზე და ზოგადი ხასიათი ქონდა. რაზეც ქალბატონმა ნინო ძაგანამ განმარტა, რომ მას და დაწესებულების სხვა წარმომადგენლებს ჰქონდათ კონტაქტი არაერთ პირთან, რომლებთანაც კონსულტაციის გავლის შედეგად გამოიკვეთა ფიტნეს ინსტრუქტორის მომზადების პროგრამაზე მოთხოვნა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეთანხმებოდა დაწესებულების წარმომადგენელს თუმცა, საბჭოს სჭირდებოდა შესაბამისი დოკუმენტები, მტკიცებულება, რომელიც ფიტნესის ინსტრუქტორის პროფესიაზე მოთხოვნას დაადასტურებდა. საბჭო დაინტერესდა ფიტნესის ორგანიზაციების ჩართულობით კვლევის ჩატარება წარმოადგენდა თუ არა სირთულეს დაწესებულებისთვის. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასეთი კვლევის ჩატარება მარტივი სულაც არ არის.

ნინო ძაგანია ასევე შეეხო 1.7 ქვესტანდარტთან დაკავშირებულ ხარვეზს და განმარტა, რომ რადგან რეკომენდაცია იყო გაცემული პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულების დადების შესახებ, ეს რეკომენდაცია კოლეჯისთვის წარმოადგენდა სირთულეს, ვინაიდან კერძო სექტორი ძალიან იშვიათად ერთვება ასეთ საკითხებში, მაგ: ქონდა კოლეჯს პრაქტიკის ობიექტებთან კონტაქტი ხელშეკრულების დადების მიზნით, თუმცა კერძო სექტორი შესაბამისი ტექნიკის

შესაძლო დაზიანების თავიდან არიდების გამო, უარს ამბობდა თანამშრომლობაზე. ამასთან, განმარტა, რომ მათ ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება აქვთ სპორტის უმაღლეს სასწავლებელთან გაფორმებული, რომელშიც არსებული ტექნიკა, მართალია არ არის ძვირადღირებული, თუმცა სწავლის შედეგების მისაღწევად საკმარისია.

1.3 ქვესტანდარტთან მიმართებით, ნინო ძაგანიამ განმარტა, რომ პროგრამაში მათ საუბარი არ ჰქონდათ მწვრთნელის დამხმარეზე, რადგან პროგრამის კურსდამთავრებული იქნება მწვრთნელის ასისტენტი.

1.6 ქვესტანდარტს რაც შეეხება, ნინო ძაგანიამ განმარტა, რომ პროგრამაში ნათლად ჩანს და პროგრამა იძლევა თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების შესაძლებლობას მსმენელებისთვის.

ხოლო იმ რეკომენდაციის ნაწილში, სადაც აღნიშნული იყო, რომ დაწესებულების პროგრამაში წარმოდგენილია ფიზიოლოგია, ხოლო ანატომია - არა, განმარტა, რომ პროგრამაში ანატომიაც ჰქონდათ. მაგ: მესამე სასწავლო კვირაში, სადაც ნერვ-კუნთოვანი აპარატის მუშაობა, სისხლის მიმოქცევის სისტემა, სასუნთქი სისტემა, ნივთიერებათა ენერჯის ცვლა, ენდოკრინული სისტემები და ა.შ იყო მოცემული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროფესიული განათლების მასწავლებელმა, გიორგი ჩახვაშვილმა, საბჭოს თავმჯდომარის ნებართვით განმარტა, რომ საუბარი იყო ანატომიურ, ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ საფუძვლებზე, რომლებიც არასაკმარისად ჰქონდა დაწესებულებას შეტანილი პროგრამაში. ნებისმიერი საკითხი რომელიც განიხილებოდა, ავტომატურად მოიცავდა ანატომიურ, ბიოქიმიურ და ფიზიოლოგიურ საფუძვლებს, რისთვისაც მოიყვანა მაგალითი: როცა საუბარია სხვადასხვა კატეგორიის ფიზიკური დატვირთვების ზეგავლენა ადამიანის ორგანიზმზე რაც ფიტნესს ახასიათებს, მაგ: ძალისმიერი და სხვა, მისი განამარტებით ეს საკითხი ავტომატურად იშლება, ანუ ცალ-ცალკე უნდა განეხილათ, გულსისხლძარღვთა, სასუნთქი, ნერვული, ენდოკრინული და ა.შ სისტემები, თუ როგორ აისახება მათზე სხვადასხვა კატეგორიის ვარჯიშები, რაც საშუალებას იძლევა აირჩეს შესაბამისი ვარჯიში, ინდივიდუალური მდგომარეობიდან გამომდინარე მაგ: საუბრისას, თუ როგორ აისახება გულსისხლძარღვთა სისტემაზე სხვადასხვა ვარჯიში, ამ დროს ავტომატურად ხდება ანატომიასთან შეხება, რადგან სისტემურ ფიზიკურ ვარჯიშებს ახლავს გულის ზომების ზრდა, კერძოდ მიოკარდიული კუნთოვანი მასის გადიდება. ასევე მიმდინარეობს სხვა ბიოქიმიური, ანატომიური და ფიზიოლოგიური ცვლილებები, რომელთაგან ფიზიოლოგიურის მაგალითი იყო, ტაქიკარდია, რომ მოდუნებით მდგომარეობაში გულისცემის სიხშირე შედარებით დაბალი აქვთ ნავარჯიშებ ადამიანებს, ვიდრე იმათ, ვინც საერთოდ არ ვარჯიშობს. აქედან გამომდინარე, ამ ყოველივეზე საუბრისას ავტომატურად ხდება, როგორც ბიოქიმიასთან, ისევე ანატომიასთან და ფიზიოლოგიასთან შეხება. რის მაგალითადაც შესაძლოა მოყვანილ იქნეს, აღდგენის პროცესები დატვირთვის შემდგომ პერიოდში, რომ სხვადასხვა სახის დატვირთვის დროს, სხვადასხვა სახის ცვლილებები მიმდინარეობს ადამიანის ორგანიზმში, ძალისმიერი, კარდიო ან სხვა დატვირთვების შემდეგ კი აღდგენა სხვადასხვანაირად მიმდინარეობს, მაგ: როდესაც საქმე ეხება კარდიო ვარჯიშებს, სადაც უმეტესად ნახშირწყლოვანი ცხიმოვანი ცვლა მიმდინარეობს ადამიანის ორგანიზმში, სწორედ ასეთი აღდგენითი პროცესების შედარებით განსხვავდება ძალისმიერისგან, სადაც მეტად ხდება ცილოვანი ცვლა, რაც კუნთოვანი მასის ცვლის საფუძველია. ამიტომ სწორედ ასეთი დატვირთვის სხვადასხვა სახის გამო, ავტომატურად ეხება იგი როგორც ფიზიოლოგიურს, ისე ანატომიურ და ბიოქიმიურ საკითხებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ქონდათ თუ არა კითხვა ან რაიმეს დამატების სურვილი, რაზეც საბჭოს წევრმა გიორგი გამყრელიძემ განაცხადა, რომ მას საკითხზე აზრის დაფიქსირება სურდა. აღნიშნა, რომ მან და საბჭოს სხვა წევრებმაც მოისმინეს, როგორც კოლეჯის წარმომადგენლის ისე ექსპერტის შეფასება, კერძოდ დაწესებულების მხრიდან დაზუსტდა, რომ არსებობდა პრაქტიკის ონიექტზე ფიზიკურად ნივთები, რომლის გამოყენებაც



სასწავლო მიზნებისთვის შეეძლოთ და სწავლის შედეგების ვერ მიღწევის საფრთხე კოლეჯის მოსაზრებით არ არის, ხოლო პროგრამის შინაარსობრივ მხარეზე საუბრისას გიორგი გამყრელიძის აზრით, შესაძლებელი იყო გათვალისწინებული ყოფილიყო ექსპერტის რეკომენდაციები. გამომდინარე აქედან მისიაზრით რეკომენდებული იყო მიეცათ დაწესებულებისთვის გარკვეული დრო იმისთვის, რომ აღნიშნული ხარვეზები გამოსწორდეს. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ რას ფიქრობდნენ დამატებითი ვადის მიცემის თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარის ნებართვით, საკითხზე მსჯელობა საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ მესხიშვილმა განაგრძო. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტს და დაწესებულების წარმომადგენლებს მუშაობისთვის, რომ მათ ყველას გააჩნდათ საკუთარი აზრი, მართალია განსხვავებული, მაგრამ არა უსაფუძვლო. ამასთან შენიშნა, რომ ექსპერტის ხარვეზები და რეკომენდაციები მიმართული იყო მხოლოდ კოლეჯის განვითარებისკენ, თუმცა ამასთან საგულისხმოდ მიაჩნდა ის ფაქტი, რომ კოლეჯი დიდი ხანია ფუნქციონირებდა და საგანმანათლებლო პროგრამებს უკვე აწვდიდა საზოგადოებას, შესაბამისად მიზი თქმით, კოლეჯს ჰყავს მასწავლებელთა ჯგუფი, რომელიც მოცემულ დარგში კომპეტენტურია, შესაბამისად იგი იზიარებდა როგორც კოლეჯის, ასევე, ექსპერტის მოსაზრებას, თუმცა მისი სურვილია ამ საკითხში სხვა ექსპერტების აზრიც მოესმინა საბჭოს, ვინაიდან ექსპერტის მიერ ისეთი საკითხები იყო ნახსენები, რაც შესაძლოა სხვა პროგრამაზეც ანალოგიურად გავრცელებულიყო, შესაბამისად კარგი იქნებოდა თუ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე სხვა საკითხების დარგის ექსპერტების მოსაზრებებსაც თუ მოისმენდა საბჭო.

აღნიშნულ მოსაზრებას მხარი დაუჭირა საბჭოს თავმჯდომარემ და განმარტა, რომ კარგი იქნებოდა თუ ასეთი გამოცდილების მქონე კოლეჯის სხვა უფრო გამოცდილ, ნაცად პროგრამებზე თუ მოისმენდნენ ისინი სხვა ექსპერტების აზრს და შემდგომ გადაწყვეტდნენ მოცემული პროგრამის შესახებ საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვა ან რაიმეს დამატების სურვილი, რაზეც საბჭოს წევრებს სურვილი არ გამოუთქვამთ, შემდგომ კი, საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით, მოცემულ პროგრამაზე მსჯელობა, კოლეჯის დანარჩენი პროგრამების განხილვისას გაგრძელდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით, რადგან საქმე ეხებოდა ერთი კოლეჯის 5 პროგრამას, შესაძლებელი იყო დანარჩენი 4 პროგრამის ერთად განხილვა.

**2. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „კრივის ინსტრუქტორი“ /01200/პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;**

**3. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „სპორტული აკრობატიკის ინსტრუქტორი“ /01199/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;**

**4. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „სპორტული მასაჟისტი“ /01204/ (ქ. თბილისი) პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;**

**5. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის – „სპორტული მასაჟისტი“ /01205/ (ქ. ქუთაისი) პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.**



საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამებს და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

"კრივის ინსტრუქტორის" საკითხი საბჭოზე წარადგინა მათა აბდალაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ მოცემულ პროგრამაში ხარვეზი არ ფიქსირდებოდა, თუმცა მცირედი რეკომენდაცია მაინც იყო გაცემული.

მათა აბდალაძემ საბჭოს წევრებს, კრივის ინსტრუქტორის შესახებ მოახსენა მოკლე ინფორმაცია, კერძოდ ის, რომ აღნიშნული იყო მომზადების პროგრამა, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 9 კვირა, მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა - 8 და პროგრამის განხორციელების ადგილი - ქალაქი თბილისი, ნინოშვილის ქუჩა #55. ამასთან, აღნიშნა, რომ ქვესტანდარტებს ცალ-ცალკე აღარ განიხილავდა რადგან დასკვნაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა. აღნიშნა, რომ დაწესებულებას ნათლად და დეტალურად ჰქონდა წარმოდგენილი კვლევის დოკუმენტები, რაც მოცემული პროგრამის მოთხოვნას და საჭიროებას ასაბუთებს. აქვე შენიშნა, რომ სხვა პროგრამების შემთხვევაშიც სრულყოფილად იყო წარმოდგენილი პროგრამების დასაბუთება.

ყურადღება გაამახვილა 2.1 ქვესტანდარტზე რაც გულისხმობს, პროგრამის უზრუნველყოფას სწავლის შედეგების საჭირო ადამიანური რესურსით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნებოდა 3 პირი, რომელთა კვალიფიკაცია ნამდვილად დადასტურდა წარდგენილი დოკუმენტაციით როგორც იყო, მაგ: დიპლომები, სერთიფიკატები და სხვა.

ხოლო 2.2 ქვესტანდარტთან მიმართებით, მათა აბდალაძემ აღნიშნა, რომ "კრივის ინსტრუქტორისთვის" მეცადინეობებს, კერძოდ თეორიულ კომპონენტს კოლეჯი ატარებდა A - გარემოში, ხოლო პრაქტიკულ მეცადინეობებს C - გარემოში, თბილისში, ბელიაშვილის #5-ში, რომელიც ნამდვილად იყო აღჭურვილი კრივის პრაქტიკული მეცადინეობისთვის აუცილებელი ინვენტარით. ამასთან განმარტა, რომ კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პრაქტიკული მეცადინეობისათვის საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციასთან, შესაბამისად ჰქონდათ უფლება პრაქტიკული მეცადინეობისთვის აღნიშნული ფედერაციის დაბრაზით ესარგებლათ, მემორანდუმი უსასყიდლო ხასიათისაა და გაფორმებულია 2025-2026 წლებში მოქმედების ვადით.

რაც შეეხებოდა 2.3 სტანდარტს, მათა აბდალაძის თქმით სასწავლო მასალა რაც მითითებული ჰქონდათ პროგრამაში, ფარავს თემატიკას და აქვთ როგორც ბეჭდური ისე ელექტრონული სახითაც, რაც ხელმისაწვდომია მსმენელებისათვის.

2.4 ქვესტანდარტთან მიმართებით, წარმდგენმა ისაუბრა უსაფრთხო გარემოს შესახებ, სახანძრო კუთხით და ასევე, რომ შენობა-ნაგებობის დადებითი დასკვნა იყო წარმოდგენილი. კოლეჯს შენობა იჯარით აქვს აღებული, რაც დასტურდება შესაბამისი რეესტრის ამონაწერით და ხელშეკრულებით. პრეზენტაციის ბოლოს მათა აბდალაძემ საბჭოს წევრებს კოლეჯის ფოტოები წარუდგინა.

"სპორტული აკრობატიკის ინსტრუქტორის" საკითხი საბჭოზე წარადგინა მათა აბდალაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სპორტული აკრობატიკის ინსტრუქტორთან დაკავშირებით ხარვეზი არ დაფიქსირებულა, მხოლოდ 1 ტექნიკური უზუსტობა დაფიქსირდა, 1.6 ქვესტანდარტში, მეხუთე და მეცხრე სწავლის შედეგში, სადაც აკრობატიკის ნაცვლად ეწერა ფეხბურთი, რომლის გამოსწორების რეკომენდაციაც კოლეჯს მიეცა.

რაც შეეხება 2.1 ქვესტანდარტს, ამ შემთხვევაში წარმდგენმა საბჭოს განუმარტა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნებოდა 7 პირი, რომელთა კვალიფიკაციაც სათანადო დოკუმენტებით დასტურდებოდა, თუმცა ვიზიტისას ცნობილი გახდა, რომ ჩართულ პირებს შორის, ერთ-ერთს წარდგენილი არ ჰქონდა დიპლომი, რომლის გადმოგზავნაც ვიზიტის

პერიოდში განხორციელდა. მათ აბდალაძემ განაცხადა, რომ ისინი გაეცნენ პროგრამის განმახორციელებელი პირების ხელშეკრულებებსაც, რომლებიც პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შემდეგ ამოქმედდება 1 წლის ვადით.

2.2 ქვესტანდარტის განხილვისას განმარტა, რომ პროგრამის C - გარემო მდებარეობდა, თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. 49-ში. ხელშეკრულება გაფორმებულია სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან. პრეზენტაციის ბოლოს მათ აბდალაძემ საბჭოს გააცნო კოლეჯის ფოტოები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

"სპორტული მასაჟისტის" ქ. თბილისში და ქ. ქუთაისში განხორციელების საკითხი საბჭოზე წარადგინა მათ აბდალაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ორივე მისამართისთვის წარმოდგენილია იდენტური შინაარსის პროგრამა. "სპორტული მასაჟისტის" გადამზადების პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-5 დონეს, პროგრამის ხანგრძლივობაა 8 კვირა, მსმენელთა მოთხოვნილი რაოდენობა - 10, ხოლო პროგრამის განხორციელების ადგილია ქ.თბილისი, ნინოშვილის N55 და ქ. ქუთაისი, გაპანოვის ქუჩა N11.

აღნიშნულ პროგრამებზე ხარვეზი არ დაფიქსირებულა, თუმცა გაიცა რეკომენდაცია დარგის ექსპერტის მიერ, რომ პირველ კვირაში მომხდარიყო იმ თემატიკის სწავლება, რომელიც იყო მეორე კვირაში (მაგ: კლასიკური და სპორტული მასაჟის კლასიფიკაცია, კინეზოთერაპიული კლასიფიკაცია და სხვა ), შესაბამისად პირველი კვირის თემატიკის სწავლება მომხდარიყო მომდევნო კვირაში.

ასევე გაიცა რეკომენდაცია, რომ ექიმ-რეაბილოლოგის "ინფორმირება, სპორტსმენის ფიზიკური და ფსიქო-ემოციური სტატუსის შესახებ", თემატიკა მეორედებოდა მესამე, მეექვსე და მეშვიდე კვირებში, შესაბამისად სასურველი იყო აღნიშნული საკითხი მხოლოდ ერთხელ ისწავლებოდა, პირველ ან მეორე სასწავლო კვირაში. პრეზენტაციის ბოლოს მათ აბდალაძემ საბჭოს წარუდგინა დაწესებულების ფოტოები.

ამასთან დაამატა, რომ ქუთაისში, "სპორტის მასაჟისტის" პროგრამის პრაქტიკული მეცადინეობებისთვის დაწესებულებას აქვს ხელშეკრულება გაფორმებული სარეაბილიტაციო ცენტრ NAIO - სთან, სადაც საჭიროების შემთხვევაში არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ თეორიული სწავლებაც შეუძლიათ მსმენელებს.

მათ აბდალაძემ აღნიშნა, რომ განაცხადით წარმოდგენილი სწავლო რესურსის ჩამონათვალი არ ფარავდა სასწავლო თემატიკას, თუმცა ვიზიტისას ბიბლიოთეკარმა მათ წარუდგინა შესაბამისი სახელმძღვანელოები, რაც მოცემული პროგრამის განხორციელებისთვის იყო საჭირო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები.

ნიკოლოზ მესხიშვილმა ჰკითხა მათ აბდალაძეს, იმ საკითხების შესახებ, რომლებზეც ექსპერტმა ისაუბრა „ფიტნესის ინსტრუქტორის“ პროგრამის საკითხის განხილვისას, იყო თუ არა თანხვედრაში სხვა დანარჩენ პროგრამებთან, მაგ: პროგრამის ხანგრძლივობასთან, ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში და სხვა.

მათ აბდალაძემ უპასუხა საბჭოს წევრის კითხვას და განაცხადა, რომ დასაბუთების ნაწილი ყველა პროგრამას სხვადასხვა ჰქონდა, რადგან მისი თქმით პროგრამის შესაბამისად იყო ჩატარებული კვლევები მაგ:სპორტულ აკრობატიკასთან, კრივთან და ა.შ დაკავშირებით.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა, ნინო მაგანიამ განაცხადა, რომ ინსტრუქტორის პროგრამებისთვის კვლევის დოკუმენტი იყო ერთი, სადაც ჩაშლილი იყო ინსტრუქტორის 8 პროგრამა, თუმცა მასაჟისტი და საფეხმავლო გამყოლიც, ნამდვილად ცალკე კვლევის დოკუმენტის სახით იყო წარდგენილი, ხოლო რაც შეეხებოდა ინსტრუქტორის კვლევის საკითხს, ადასტურებდა რომ იგი იყო ერთი დიდი მოცულობის 4-5 გვერდიანი დოკუმენტი.

ნიკოლოზ მესხიშვილმა ითხოვა დღის წესრიგით პირველ საკითხად განსაზღვრულ საკითხზე მსჯელობის გაგრძელება და საბჭოს თავმჯდომარის ნებართვით, კითხვა დაუსვა „ფიტნესის ინსტრუქტორის“ პროგრამის დარგის ექსპერტს ვალერი გულბანს, თუ როგორი პოზიცია ჰქონდა მას მოსმენილ პრეზენტაციასთან და მათა აზრით მისი მიერ გამოხატული პოზიციის მიმართ და კონკრეტულად მისი როგორც ექსპერტის ხედვა როგორი იყო.

ექსპერტმა განაცხადა, რომ იგი არ იცნობდა სხვა დანარჩენ პროგრამებს, თუმცა, მისი აზრით ფიტნეს ინსტრუქტორისა და სხვა პროგრამების ერთმანეთთან შედარება არც კი შეიძლებოდა, რადგან ისინი არსებითად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ამასთან, მისი განმარტებით ფიტნესი არ იყო სპორტი. ამასთან დაამატა, რომ ფიტნესის პროფესიული სწავლების მომხრეებს შორის, რა თქმა უნდა ისიც იკავებდა ადგილს. ამასთან მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯი უკვე მრავალი წელია ახორციელებს საქმიანობას სხვადასხვა სპორტის მიმართულებებით, თუმცა ფიტნეს ინსტრუქტორის სფეროში - ნაკლებად აქვს კოლეჯს შესაბამისი გამოცდილება. აღნიშნა, რომ მართალია ერთ დიდ დოკუმენტში არსებულ კვლევებს შორის ნამდვილად იყო ფიტნეს ინსტრუქტორიც, თუმცა არა ისეთი დოზით, რომ ასეთი პროგრამის საჭიროების დასაბუთება მომხდარიყო. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ მისი თვითმიზანი არ იყო პროგრამის დახარვეზება, თუმცა საქმე ეხებოდა ახალ პროფესიას, რაც მეტად საყურადღებო საკითხია.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, იმაზე მითითება, რომ კერძო სექტორი ურთიერთ თანამშრომლობაზე უარს ამბობს, ეს არის მხოლოდ ერთი რამის მიმანიშნებელი, რომ თუ კერძო სექტორს არ სურს თანამშრომლობა, მაშინ ასეთი პროგრამის განხორციელებას აზრი ეკარგება რადგან ისინი ვერ დასაქმდებიან. შესაბამისად ისეთი პროგრამის განხორციელება, რომელიც არ შეესაბამება კერძო სექტორს მოთხოვნებს, მისი განხორციელებისთვის უფლების მინიჭებაც ვერ მოხდება, მაშინ, როცა მოკლევადიანი პროგრამის ერთ-ერთი მიზანია პირის სწრაფად დასაქმება.

ექსპერტმა, ვალერი გულბანმა, აღნიშნა, რომ ვიზუალური დათვალიერებისას ნაჩვენები ინვენტარი არ შეესაბამებოდა პროგრამის რესურსში მითითებულ ჩამონათვალს, რადგან საჭირო იყო დაახლოებით 3 პირს ერთი სახის ინვენტარზე შეეძლოს მუშაობა შესაბამისად რადგან არ იყო მაგ: მუცლის პრესის ინვენტარი, გირები და სხვა, მოცემული ინვენტარი პროგრამის განხორციელებისთვის საკმარისი არ იყო. ექსპერტის ნათქვამს დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამაში არ ქონდათ ჩამოთვლილი სრულად ის ინვენტარი, რასაც რეალურად ფლობდნენ.

ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ პროგრამის განაცხადის ცენტრში შემოსვლას სიფრთხილით მოეკიდნენ, რადგან პირველი შემთხვევა იყო როდესაც კოლეჯი ფიტნეს ინსტრუქტორის პროგრამის განხორციელებას ითხოვდა, შესაბამისად აქამდე ასეთი პრაქტიკა მოცემული პროგრამის მსგავსი ან ანალოგიური, მომზადების ან გადამზადების პროგრამაზე არც კი გააჩნდათ. ამის გამო, ცენტრმა შეარჩია შესაბამისი გამოცდილების და კომპეტენციის მქონე ექსპერტი, რომელმაც წარმოადგინა კარგად დასაბუთებული დასკვნაც, რის გამოც იგი მადლობას უხდოდა ექსპერტ ვალერი გულბანს და ლანა გაჩეჩილაძეს, რომელმაც დიდი დრო დაუთმო შესაბამისი ექსპერტის მოძებნას.

ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლის განმარტება, რომ კერძო სექტორი შეთანხმებაზე არ მოდის, აძლევდს იმის ფიქრის საშუალებას, რომ მსმენელები სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმებას ვერ შეძლებენ. შესაბამისად მისი აზრით უკეთესი იქნებოდა თუ დაწესებულება შეასწორებდა პროგრამას და საბჭოს ხელახლა წარუდგენდა. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ისინი უკვე გეგმავდნენ ახალი ხედვით მოცემული პროგრამის შემუშავებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

13:51 თორნიკე ჯობავამ დატოვა სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქვორუმის არარსებობის გამო საბჭოს სხდომაზე განხილულ საკითხებზე კენჭისყრა გადაიდო შემდეგი სხდომისთვის, რომელიც მიმდინარე წლის 6 დეკემბერს იყო დაგეგმილი.

14:11 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
გამყრელიძე გიორგი

